



**ბაკალავრიატი/ერთსაფეხურიანი
უმადლესი საბანძანათლებლო
პროგრამა**

2020-2021 სასწავლო წელი



ტსუ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბაკალავრიატი – აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა არის აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის.

პირველსემესტრელმა სტუდენტმა ჩარიცხვისათვის

უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტზე უნდა ჩარეგისტრირდეს შემდეგი დოკუმენტაცია:

- სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის/პასპორტის ასლი (დედნის წარმოდგენით);
- ორი ცალი ფოტოსურათი, ბეჭდური (3x4), ელექტრონული ვერსია CD-ზე;
- სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ვაჭუებისათვის);
- უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- არასრულწლოვანი სტუდენტობის კანდიდატის ნაცვლად, თსუ-სთან ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილი არის მისი მშობელი, სტუდენტობის კანდიდატის დაბადების მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული ასლისა და მშობლის პირადობის მოწმობის ასლის წარმოდგენის შემთხვევაში.

სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები

თსუ-ს სტუდენტს უფლება აქვს:

- მიიღოს ხარისხიანი განათლება და მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო კვლევაში;
- ისარგებლოს თსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია თსუ-ში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების თაობაზე და მოითხოვოს სასწავლო კურსების სილაბუსები;
- მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს საგამოცდო შედეგი;
- მიიღოს კვალიფიკაციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო კურსების, გამოცდების ჩატარების ვადებისა და ფორმატის, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის თაობაზე;
- პერიოდულად მოახდინოს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობის შეფასება;
- შეფასების გაუმჯობესების მიზნით რვა სემესტრის განმავლობაში 30-35 კრედიტის ფარგლებში განმეორებით მოისმინოს სასწავლო კურსი. ამ შემთხვევაში სტუდენტს სასწავლო კურსის შეფასებად უფიქსირდება უკეთესი შედეგი;
- სასწავლო პროცესის დაწყებიდან ერთი კვირის განმავლობაში ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურისათვის მიმართვის საფუძველზე შეიცვალოს ან გაიუქმოს დამატებითი სპეციალობა.

თსუ-ს სტუდენტი ვალდებულია:

- რეგულარულად ეცნობოდეს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ თსუ-ს ადმინისტრაციულ აქტებს;
- გონივრულ ვადაში აცნობოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტს/ფაკულტეტის

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში არსებულ ანკეტაში მითითებული ინფორმაციის ცვლილების თაობაზე;

- არაუგვიანეს მეორე სემესტრისა დაარეგისტრიროს დამატებითი სპეციალობა.

სტუდენტის დაფინანსება და სემესტრები

- ბაკალავრიატის საფეხურზე სტუდენტის დაფინანსება 8 სემესტრის განმავლობაში შეადგენს არანაკლებ 240 კრედიტს;
- დიპლომირებული მედიკოსის/დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის დაფინანსება 12/10 სემესტრის განმავლობაში შეადგენს არანაკლებ 360/300 კრედიტს;
- კრედიტი არის ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დაფინანსებას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ;
- სტუდენტის დაფინანსება ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 65 კრედიტს (სემესტრში 30-35 კრედიტი);
- უნივერსიტეტი ძირითად (major) სპეციალობასთან ერთად, სტუდენტს სთავაზობს შესაძლებლობას, აირჩიოს დამატებითი (minor) სპეციალობაც.
- სტუდენტს, უფლება ეძლევა თვითდაფინანსების გზით დაასრულოს საგანმანათლებლო პროგრამა დამატებითი სემესტრების განმავლობაში.



ადმინისტრაციული რეგისტრაცია

- სტუდენტის მიერ ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა გულისხმობს შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებში სწავლის საფასურის სრულ ან ნაწილობრივ გადახდას და წარმოადგენს აკადემიური რეგისტრაციის გავლის წინაპირობას.

აკადემიური რეგისტრაცია

- აკადემიური რეგისტრაცია არის სასწავლო კურსებზე დაარეგისტრირება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის - lms.tsu.ge - საშუალებით.
- სასწავლო კურსის შეცვლა ან გაუქმება დასაშვებია სასწავლო პროცესის დაწყებიდან 1 კვირის ვადაში.
- გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში თსუ-ის გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტისათვის აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს სასწავლო კურსებზე დაარეგისტრირებას, უცხო ქვეყნის პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ამ ქვეყანაში და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დადგენილი წესით.
- სტუდენტს ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის გავლის შემდეგ აქვს აქტიური სტატუსი.

სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა - lms.tsu.ge

- სტუდენტს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში შესასვლელად საკუთარი პროფილის პაროლი ენიჭება პირველსემესტრელთა რეგისტრაციისას. სტუდენტმა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის საშუალებით შეიძლება მიიღოს შემდეგი მომსახურება:
 - ✓ განახორციელოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირება;
 - ✓ სასწავლო ბარათში ნახოს მის მიერ არჩეული საგნები, მიღებული შეფასებები და მინიჭებული კრედიტები;
 - ✓ გაეცნოს ფაკულტეტზე არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებს, სასწავლო კურსების ჩამონათვალს, სილაბუსებს, სასწავლო და საგამოცდო ცხრილებს;



- ✓ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე ანარმოოს მიმოწერა სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტთან/ფაკულტეტის შესაბამის სამსახურთან, ხოლო გამოცდებთან დაკავშირებულ საკითხებზე - საგამოცდო ცენტრთან;

სწავლის საფასური

- სწავლის საფასური განისაზღვრება სემესტრული გადასახადით და შეადგენს 1125 ლარს;
- ცალკეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება დაწესდეს სწავლების განსხვავებული საფასური.
- ნაწილობრივი დაფინანსების მქონე სტუდენტმა სახელმწიფო დაფინანსებასა და სწავლის რეალურ საფასურს შორის სხვაობა უნდა დაფაროს ადმინისტრაციული რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადებში.
- თსუ სტუდენტებს სწავლის სემესტრული საფასური შეუძლიათ გადაიხადონ ეტაპობრივად https://www.tsu.ge/data/file_db/PR/etapobrivid%20gadaxda.pdf
- პირველი ორი დამატებითი სემესტრის სტუდენტს სწავლის საფასური განესაზღვრება შესასწავლო სასწავლო კურსის/კურსების კრედიტების შესაბამისად, ხოლო მომდევნო დამატებითი სემესტრებში სტუდენტი იხდის მიმდინარე სემესტრში არსებულ სემესტრულ გადასახადს.
- დამატებითი სემესტრში საგანმანათლებლო პროგრამებზე კრედიტის ღირებულება შეადგენს 40 ლარს. თუ საგანმანათლებლო პროგრამისთვის დადგენილია სემესტრულ 1125 ლარზე მაღალი სწავლის საფასური, კრედიტის ფასი გამოითვლება სემესტრული გადასახადის შეფარდებით სტუდენტის საშუალო სემესტრულ დატვირთვისას (30 კრედიტი).
- სწავლის საფასურის გადახდა შესაძლებელია: „საქართველოს ბანკის“, „ლიბერთი ბანკის“ და „თი ბი სი ბანკის“ ნებისმიერ ფილიალში; ასევე „საქართველოს ბანკის“, „ლიბერთი ბანკის“ და „თი ბი სი ბანკის“ სწრაფი ჩარიცხვის აპარატების მეშვეობით.
- სწავლის საფასურის გადახდისას წარმოქმნილი პრობლემის შემთხვევაში სტუდენტი უკავშირდება თსუ საფინანსო დეპარტამენტს (თსუ, პირველი კორპუსი, ოთახი №019) ან რეკავს ცხელ ხაზზე +995 32 2 250484.

შიდა მობილობა

- თსუ-ს სტუდენტი უფლებამოსილია შიდა მობილობით შეიცვალოს საგანმანათლებლო პროგრამა როგორც ფაკულტეტის შიგნით, ასევე გადავიდეს თსუ-ს სხვა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე.
- შიდა მობილობა ხორციელდება lms.tsu.ge -ზე სტუდენტის პირადი პროფილიდან.
 - შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა სწავლების ერთი სემესტრის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაში პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი;
 - საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის უფლებას მოიპოვებენ ვაკანტური ადგილების შესაბამისი რაოდენობის სტუდენტები, რომელთა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები (საკონკურსო ქულა) აღემატება მობილობის სხვა მსურველთა შესაბამის შედეგებს.

თსუ-ში მობილობის წესით ჩარიცხვა

- თსუ-ში მობილობის წესით ჩარიცხვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. მობილობის ადმინისტრირებას ახორციელებს სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ელექტრონული პორტალის საშუალებით (<https://emis.ge/mobiloba/>)



სტუდენტის სტატუსის შეჩერება

სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლები:

- აღმინისტრაციული ან აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელია;
- პირადი განცხადებით (მიზეზის მითითების გარეშე. სტუდენტმა შეჩერების მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუგვიანეს 2 კვირის განმავლობაში);
- უცხო ქვეყნის უსდ-ში სწავლის (გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლის) ან ავადმყოფობის (თუ დოკუმენტურად დასტურდება სტუდენტის სასწავლო პროცესში მონაწილეობის შეუძლებლობა) საფუძვლით სტუდენტის სტატუსის შეჩერების მოთხოვნით სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს თსუ-ს რექტორს სასწავლო პროცესის დაწყებიდან 5 კვირის განმავლობაში.
- ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემთხვევაში გამონაკლისი შესაძლოა დადგინდეს რექტორის ბრძანებით (სააუდიტორიო მეცადინეობების პერიოდში).
- სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა (უცხო ქვეყნის უსდ-ში სწავლა ან ავადმყოფობა).
- განსაზღვრული ვადების გასვლის შემდეგ სტუდენტი კარგავს სტატუსის შეჩერებისა და სწავლის საფასურის მომდევნო სემესტრებში გამოყენების უფლებას.
- დაუშვებელია სტუდენტის სტატუსის შეჩერება გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში თსუ-დან წასული გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტისათვის.



სტატუსის შეწყვეტის საფუძველი:

- პირადი განცხადება;
- სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;
- სტუდენტის სტატუსის შეჩერება 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში;
- ერთი და იმავე სავალდებულო სასწავლო კურსში სამჯერ კრედიტის ვერმიღება;
- ფაკულტეტის საბჭოს მიერ სტუდენტის მიმართ განხორციელებული დისციპლინური დევნის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის, შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების საფუძველზე;
- გარდაცვალება.
- სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანების გამოცემიდან ერთი წლის ვადაში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია, ისარგებლოს გარე მობილობის უფლებით;
- სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის საფუძველზე; ხოლო ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთათვის სტუდენტის სტატუსის მინიჭება ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

შუალედური გამოცდები

შუალედური გამოცდის აღდგენის პირობები:

- შუალედურ გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, როდესაც გამოცდას ატარებს ფაკულტეტი, სტუდენტი დევანს მიმართავს განცხადებით, რომელშიც უთითებს გამოუცხადებლობის საპატიო





მიზეზს და წარადგენს ამ მიზეზის არსებობის დამადასტურებელ დოკუმენტს. გამოცდის აღდგენა შესაძლებელია მოხდეს შუალედური გამოცდის ჩატარების დღიდან 2 კვირის ვადაში;

- შუალედურ გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, როდესაც გამოცდას ატარებს საგამოცდო ცენტრი, სტუდენტი საგამოცდო ცენტრს ელექტრონული ბაზის საშუალებით (lms.tsu.ge) მიმართავს განცხადებით, რომელშიც უთითებს გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზს და გამოცდის აღდგენამდე წარუდგენს ამ მიზეზის არსებობის დამადასტურებელ დოკუმენტს. გამოცდის აღდგენა უნდა მოხდეს შუალედური გამოცდის ჩატარების დღიდან 2 კვირის ვადაში.
- შუალედური გამოცდის აღდგენისათვის განკუთვნილი 2 კვირის განმავლობაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში სტუდენტისათვის ინდივიდუალური წესით შუალედური გამოცდის აღდგენა დასაშვებია მხოლოდ საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში. გადაწყვეტილებას ინდივიდუალური წესით შუალედური გამოცდის აღდგენის თაობაზე იღებს ფაკულტეტის დეკანი.

დასკვნითი და დაბათებითი გამოცდები:

- დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება არანაკლებ 51 ქულია.
- სტუდენტის გამოცდაზე ჩაჭრის საფუძველია:
 - ა) გამოცდის მიმდინარეობისას სტუდენტის მოქმედება, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის გამოცდების ჩატარების ინსტრუქციასა და თსუ-ს ეთიკის კოდექსთან https://tsu.ge/data/file_db/iuridiuli_cnobari/etika_09.pdf);
 - ბ) დასკვნით გამოცდაზე დადგენილ ქულათა 50%-ზე ნაკლების მიღება.

სტუდენტი დაბათებით გამოცდაზე დაიშვება მიმდინარე სემესტრის საგამოცდო პერიოდში:

- ძირითად გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, როდესაც გამოცდას ატარებს ფაკულტეტი, შესაბამის დამატებით გამოცდაზე გასვლა დასაშვებია დეკანის სახელზე სტუდენტის მიერ დაწერილი განცხადების საფუძველზე, გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მითითებითა და დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით. გადაწყვეტილებას სტუდენტის დამატებით გამოცდაზე დაშვების შესახებ იღებს საგამოცდო ცენტრი;
- ძირითად გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, როდესაც გამოცდას ატარებს საგამოცდო ცენტრი, შესაბამის დამატებით გამოცდაზე გასვლა დასაშვებია საგამოცდო ცენტრისათვის ელექტრონული ბაზის საშუალებით (lms.tsu.ge) გაგზავნილი მიმართვის საფუძველზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მითითებითა და დამატებით გამოცდაზე დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით. გადაწყვეტილებას სტუდენტის დამატებით გამოცდაზე დაშვების შესახებ იღებს საგამოცდო ცენტრი;
- საბაკალავრო ნაშრომის არადაამაყუაფილებლად შეფასების შემთხვევაში (F/FX), მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია;
- 41–50 ქულის შეფასების პირობებში ან/და ძირითად გამოცდაზე ჩაჭრილ სტუდენტს, რომელსაც დაგროვილი აქვს არანაკლებ 41 ქულია, ავტომატურად ეძლევა შესაბამის დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება;
- საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.
- დასკვნით ან დამატებით გამოცდაზე საპატიო მიზე-



ზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, როდესაც გამოცდას ატარებს ფაკულტეტი, დასკვნითი ან დამატებითი გამოცდებისათვის დადგენილ ვადაში გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშნისათვის სტუდენტი განცხადებით მიმართავს დეკანს, რომელშიც უთითებს გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზს და წარადგენს ამ მიზეზის დამადასტურებელ დოკუმენტს. გადაწყვეტილებას სტუდენტის გამოცდაზე დაშვების შესახებ იღებს დეკანი;

- დასკვნით ან დამატებით გამოცდაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, როდესაც გამოცდას ატარებს საგამოცდო ცენტრი, დასკვნითი ან დამატებითი გამოცდებისათვის დადგენილ ვადაში გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშნისათვის სტუდენტი საგამოცდო ცენტრს ელექტრონული ბაზის საშუალებით (lms.tsu.ge) უგზავნის წერილს, რომელშიც უთითებს გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზს და გამოცდაზე წარუდგენს დამადასტურებელ დოკუმენტს. გადაწყვეტილებას სტუდენტის გამოცდაზე დაშვების შესახებ იღებს საგამოცდო ცენტრი;
- დასკვნით და დამატებით გამოცდებზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში სტუდენტისათვის საგამოცდო პერიოდის გასვლის შემდეგ გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშნა დასაშვებია მხოლოდ საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში. გადაწყვეტილებას საგამოცდო პერიოდის გასვლის შემდეგ გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშნის თაობაზე დეკანის წარდგინების საფუძველზე იღებს უნივერსიტეტის რექტორი.

სტუდენტის შეფასება

- დასკვნითი და შესაბამისი დამატებითი გამოცდის ჩატარების ფორმაა წერილი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს, ასეთ შემთხვევაში გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ თითოეულ კომპონენტში სტუდენტი მიიღებს ამ კომპონენტისათვის (წერა/ზეპირი) დადგენილ ქულათა არანაკლებ 50%-ს.
- სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემა უშვებს:
 - ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
 - ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
 - ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
 - ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
 - ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
 - ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
 - ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
 - ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
 - ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.



აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭება

- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია.
- კურსდამთავრებულის სახელზე გამოიცემა დიპლომი და დანართი.

